

შპს მოდერნ ლაინ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც

დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე		0	0	0	0
ძირითადი საშუალებები	3	136,576	156,842	157,022	55,196
		136,576	156,842	157,022	55,196
მოკლევადიანი აქტივები					
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	7,906	42,851	5,712	66,246
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	1,061,839	1,040,667	242,831	391,773
მისაღები პროცენტები		0	0	0	0
მარაგები	6	529,099	42,911	15,758	405,301
		1,598,843	1,126,429	264,301	863,320
მთლიანი აქტივები		1,735,419	1,283,271	421,324	918,516
მთლიანი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		267,650	267,650	267,650	267,650
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-1,160,943	-1,186,905	-1,281,374	-583,137
		-893,292	-919,254	-1,013,724	-315,487
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები	7	0	0	0	0
		0	0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2,672,936	2,155,063	1,406,396	1,288,435
გადასახდელი პროცენტი		0	0	0	0
მოკლევადიანი სესხები		309,530	-8,788	28,652	0

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საგადასახადო ვალდებულებები	-353,755	56,251	-1	-54,432
	2,628,711	2,202,525	1,435,047	1,234,002
მთლიანი ვალდებულებები	2,628,711	2,202,525	1,435,047	1,234,002
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1,735,419	1,283,271	421,324	918,516

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	9	1,481,308	2,001,390	568,665
თვითღირებულება		(866,869)	(1,062,889)	(1,006,380)
საერთო მოგება		614,439	938,501	(437,715)
სხვა შემოსავლები	10	(5,876)	(5,692)	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(572,098)	(832,937)	(259,837)
სხვა ხარჯები	11	(5,124)	-	352
საოპერაციო მოგება		31,341	99,872	(697,200)
ფინანსური შემოსავალი		-	-	-
ფინანსური ხარჯი	12	(5,379)	(5,403)	(1,037)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(5,379)	(5,403)	(1,037)
მოგება დაბეგვრამდე		25,962	94,470	(698,237)
მოგების გადასახადი		-	-	-
პერიოდის მოგება		25,962	94,469.53	(698,236.80)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	267,650	-583,137	(315,487)
			-
მოგება წლის ბოლოს	-	(698,237)	(698,237)
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(698,237)	(698,237)
			-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
კაპიტალის გატანა	-		-
2018 წლის 31 დეკემბერი	267,650	(1,281,374)	(1,013,724)
			-
მოგება წლის ბოლოს	-	94,470	94,470
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	94,470	94,470
			-
გაცემული დივიდენდი		-	-
			-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	267,650	(1,186,905)	(919,254)
			-
მოგება წლის ბოლოს	-	25,962	25,962
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	25,962	25,962
			-
გაცემული დივიდენდი		-	-
			-
კაპიტალის გატანა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	267,650	(1,160,943)	(893,292)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მოდერნ ლაინ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 202456822. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N58, კომერციული ფართი N9 კორპუსი N"ბ", სადარბაზო 3, სართული 1. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არქიტექტურული საქმიანობები, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და კომპანიის დირექტორია - ვახტანგ არჩვაძე, 62001005662

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: კომპანიის ბუღალტერია აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა -3

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავტომობილი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
01 იანვარი 2018	-	6,167	345	48,684	-	55,196
შემოსვლა	106,353	1,738	-	13,051	-	<u>121,141</u>
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	5,318	1,581	69	12,347	-	<u>19,314</u>
31 დეკემბერი 2018	101,035	6,323	276	49,388	-	157,022
შემოსვლა	-	4,100	-	15,987	-	<u>20,087</u>
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	5,052	2,085	55	13,075	-	<u>20,267</u>
31 დეკემბერი 2019	95,983	8,339	221	52,299	-	156,842
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
ცვეთა და გაუფასურება	5,052	2,085	55	13,075	-	<u>20,267</u>
31 დეკემბერი 2020	90,931	6,254	166	39,225	-	136,576

ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7742.962	42767.67	5,712
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	162.95	83.27	-

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ	7905.912	42850.94	5712.41
------------	-----------------	-----------------	----------------

შენიშვნა 5**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2020	2019	2018
მოთხოვნა ბანკიდან ჩასარიცხ თანხებზე	0	0	-
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	0	428139.87	27,393
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	366515.8346	18182	-
სულ	366515.8346	446321.87	27393.4

შენიშვნა 6**მარაგები**

	2020	2019	2018
საქონელი	529098.6581	42911	15,758
ინვენტარი	0	0	-
საქონელი მ/ს	0	0	-
სულ	529098.6581	42911	15757.86

შენიშვნა 7**სესხები**

	2020	2019	2018
გრძელვადიანი სესხები	0	0	-
სულ	0	0	0

შენიშვნა 8**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	2020	2019	2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	74727.96282	31965.17	15,094
მიღებული ავანსები	1246848.056	0	-
გადასახდელი ხელფასი	0	(0.17)	-
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	1301298.85	2098872.305	1,391,302
საპენსიო შენატანი	50061.62	24225.74	-
სულ	2672936.489	2155063.041	1406396.21

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 9
ამონაგები

	2020	2019	2018
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	1481308.295	2,001,389.91	568,665
სულ	1481308.295	2,001,389.91	568664.62

შენიშვნა 10
სხვა შემოსავალი

	2020	2019	2018
მარკეტინგული მომსახურება	0	0	-
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	-5875.61	0	-
კონვერტაციის შედეგი (მოგება)	0	0	-
არასაოპერაციო მოგება	0	0	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0	-5692.04	-
სულ	-5875.61	-5692.04	-

შენიშვნა 11
სხვა ხარჯები

	2020	2019	2018
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	0	0	-
კონვერტაციის შედეგი (ზარალი)	0	0	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5124.45	0	(352)
სულ	5124.45	0	-351.94

შენიშვნა 12
ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

	2020	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	0.00	0.00	0.00
საპროცენტო ხარჯი	5379.34	5402.60	1036.71
სულ ფინანსური მოგება ზარალი	5379.34	5402.60	1036.71

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის პანდემიის გამო კომპანიამ მიიღო დიდი ზარალი;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 25 ნოემბერი;



დირექტორი:

ვახტანგ არჩვაძე